ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **დავით ლომიძე**

თანამდებობის დასახელება - **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია;

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2023 წლის 01.01-დან 2023 წლის 01.11 მდე.

- **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა**

საკრებულოს სხდომების რაოდენობა 01.01.2023წ.- 01.11.2023წ.-მდე - 10

საკრებულოს სხდომაზე დასწრება -10

- **სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023 წელს**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 6, ესწრებოდა -6 სხდომას

- **მ/შ დროებითი კომისიები:**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო (თავმჯდომარე), საბჭოს სხდომების რაოდენობა - 2 , ესწრებოდა - 2 სხდომას.
- მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების სამუშაო ჯგუფი - სხდომის რაოდენობა -1, სხდომაზე დასწრება-1.

- **სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -2 სხდომა**

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა

- **საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 ივნისის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის - ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულებების მიმოხილვისა და შეფასების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა)იპების ანგარიშის მოსმენის შესახებ

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე-ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე, აგრეთვე ხდება მოქალაქეთა მომართვიანობა ინდივიდუალურად სამუშაო გარემოში (ადმინისტრაციული შენობა) და მათთვის დახმარების, კონსულტაციის გაწევა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 400 მოქალაქე;

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- სოციალური პრობლემები;
- ინფრასტრუქტურული საკითხები;
- ჯანდაცვის საკითხები
- გზების აღდგენა -რეაბილიტაციის საკითხები

  და სხვა

- **მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

- მოქალაქეთა მიერ გამოთქმული პრობლემები, საკითხები დასმული იქნა მერთან, მერიის თანამდებობის პირებთან, გაეწიათ შუამდგომლობა(როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით) შესაბამის სახელმწიფო თუ სხვა უწყებებთან, საკრებულოს სხდომებზე, საკრებულოს წევრთა მუშა შეხვედრებზე, რომელსაც ესწრებოდნენ მერიის წარმომადგენლები-მიცემული იქნა შესაბამისი დავალებები, და.ა.შ. ზემოთ აღნიშნული საკითხები ძირითადად გადაწყვეტილ იქნა დადებითად. მოქალაქეებს კუნსულტაცია გაეწია სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. სხვადასხვა

ორგანიზაციებთან, ასევე ფონდებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და შესაბამის პროგრამებთან ურთიერთობისას.

- **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა 2023 წლის 1-17 თებერვალს. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში შერჩეული პროექტები წარდგენილ და დამტკიცებულ იქნა საკრებულოს სხდომაზე
- შედგა ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან შეხვედრა, რომელიც გაცნობითი ხასიათის იყო. ახალგაზრდებმა ისაუბრეს საბჭოს მისიაზე, მიზნებზე, ფუნქციებზე, სტრუქტურაზე და სამომავლო გეგმებზე, შეხვედრაზე გაეცა პასუხი დასმულ შეკითხვებს
- 2023 წლის 3 თებერვალს გასვლით სხდომაზე, საზოგადოებას 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა. საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ ანგარიშში ასევე აქცენტი გაკეთდა 2023 წლის გეგმებზე და მთავარ პრიორიტეტებზე. სხდომას საკრებულოს საზოგადოებრივი დარბაზის წევრები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მასმედიის და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ
- სისტემატიურად და აქტიურად ორგანიზება - მონაწილეობა ახალციხის მუნიციპალიტეტში მასშტაბური დასუფთავების აქციებში მათ შორის როგორიცაა- დასუფთავების საერთაშორისო კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო- დავასუფთაოთ საქართველო", აქცია წყლის რესურსების საერთაშორის დღესთან დაკავშირებით
- თემაზე - ,,მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი" ახალციხის მუნიციპალიტეტში მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრის ხელშეწყობა, ორგანიზება-მონაწილეობა,

- „ახალციხის ციხეზე'' მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში მოაწილეობა
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ღვაწლმოსილ თანამშრომლებთან და მენეჯერებთან შეხვედრა
- „ახალციხის ციხის" ციტადელზე პროექტში „ჩემი მესხეთი“ - საიმიჯო კლიპის პრეზენტაციაზე დასწრება
- ახალციხის ციხის ციტადელზე, რეგიონში ახალგაზრდების ხელშეწყობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის მიზნით, საჭირო კოორდინირებული თანამშრომლობისათვის ახალგაზრდული რეგიონული ფორუმში მონაწილეობა
- ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე „საქართველო“ დასწრება. წარმოდგენილ იქნა დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, ფინეთის და იტალიის წარმომადგენელთა და ქართული ფოლკლორული ნიმუშები;
- ქალაქ ვალეში და სოფლებში სხვილისი, წყრუთი და აწყური, გასვლითი შეხვედრებზე მონაწილეობა - საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატთან ანტონ ობოლაშვილთან, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან ირაკლი ლაზარაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დასახლებებში არსებულ საჭიროებებსა და მათი მოგვარების გზებზის დასახვის მიზნით
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ საინფორმაციო შეხვედრებში, შეხვედრების ორგანიზებაში და სხვა აქტივობებში აქტიური მონაწილეობა (კამპანია მოიცავს სკრინინგს და.ა.შ)

➢ **თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა**

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ აქტივობებში აქტიური მონაწილეობა, შეხვედრებსა და თემატურ ტრენინგებში მონაწილეობის მიღება შეხვედრებსა და თემატურ ტრენინგებში მონაწილეობა.

თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში (მათ შორის ონლაინ) შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

შევსების თარიღი 23- . -10-.2023 წ.

წარდგენის თარიღი -23-.-10-.2023 წ.

ხელის მოწერა----------